

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ივნისი 2012

სეგამე საფრანგეთის წინააღმდეგ - 4837/06

გადაწყვეტილება 7.6.2012 [V სექცია]

მუხლი 6

სისხლისსამართლებრივი პროცესი

მუხლი 6-1

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა

კანონით დადგენილი ადმინისტრაციული ჯარიმის შეცვლის შეუძლებლობა ადგილობრივი სასამართლოების მიერ: არ არის დარღვევა

ფაქტები – მომჩივანი კომპანია არის საჯარო შეზღუდული კომპანია, რომელსაც გააჩნია სამხატვრო გალერეა. 1993 წლის პარიზის კომერციულმა სასამართლომ გამოიტანა ბრძანებები მისი სამართლებრივი რეორგანიზაციისათვის და შემდგომი ლიკვიდაციისათვის. შემდეგ წელს საგადასახადო ორგანოებმა გაუგზავნა მას ორი დამატებითი საგადასახადო კვლევა, რომელიც შეეხებოდა, კერძოდ, მოთხოვნებს საგადასახადო დავალიანებებს. მოცემულ კვლევებს ახლდა ჯარიმა რომელიც იყო გადაუხდელი გადასახადის 100% ოდენობის. პროცედურების დროს, საკანონმდებლო ცვლილებებმა შეამცირეს ჯარიმა 100%-დან 25%-მდე; საგადასახადო ორგანოებმა გამოიყენეს ეს ახალი დებულება მომჩივანი კომპანიის მიმართ. 1998 წელს მომჩივანმა კომპანიამ მიმართა სასამართლო ორგანოებს მოთხოვნით რომ მომხდარიყო მათი გამორიცხვა განხორციელებული კვლევებიდან და ამტკიცებდნენ რომ, inter alia, ჯარიმა შეუსაბამო იყო კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილთან, რადგან ის შეუძლებელია შეცვლილიყო სასამართლოს მიერ რათა მიღებულიყო

მხედველობაში გადასახადის გადამხდელის ქმედების სერიოზულობა იმ ფარგლებში რაც კანონმდებლობას უნდა დაედგინა. საჩივარი უარყოფილ იქნა, Conseil d'tat მიერ, და კერძოდ დაადგინა, რომ საგადასახადო სასამართლოებს ქონდათ სრული იურისდიქცია მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და რომ მოცემული დებულება არ ითხოვდა იმ საქმეებში, სადაც კანონმდებელმა დაადგინა განსახილველი ჯარიმის ქვედა ზღვარი, რომ სასამართლოებს ქონდათ უფლებამოსილება შეეცვალათ ქვედა ზღვარი.

კანონი – მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: მომჩივან კომპანიას ქონდა შესაძლებლობა მოეთხოვა პროცედურების დაწყება დამატებითი საგადასახადო კვლევებიდან და სასჯელებიდან გამორიცხვის მოთხოვნით და შემდგომში ჩვეულებრივი საჩივრის წარდგენით და კანონის თაობაზე საჩივრის წარდგენით. ეს გახლდათ სრული სააპელაციო პროცედურა, რომლის დროსაც ამინისტრაციულ სასამართლოები სარგებლობდნენ ფართო უფლებამოსილებით რომ შეესწავლათ ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტები და არა მარტო გაეუქმებინათ ან დაემტკიცებინათ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, მაგრამ აგრეთვე უფლებამოსილება რომ შეეცვალათ ის ან ჩაენაცვლებინათ კიდევ საკუთარი გადაწყვეტლებით, როდესაც იღებდა გადაწყვეტილებას გადასახადის გადამხდელთა უფლებებზე. საგადასახადო საკითხებში, მათ შეეძლოთ გაეთავისუფლებინათ გადასახადის გადამხდელები გადასახადებიდან და დაკისრებული სასჯელებიდან, ცვლილებები შეეტანათ მოთხოვნილ თანხაში იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც კანონი ამას უშვებდა და სასჯელების ნაწილში, შეეცვალათ მაღალი ან დაბალი განაკვეთი, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში. მომჩივანმა კომპანიამ იჩილა რომ ადმინისტრაციულმა სასამართლოებს არ ქონდათ, რაიმე საკანონმდებლო დებულების არ არსებობის პირობებში, იურისდიქცია რომ შეეცვალათ დაკისრებული ჯარიმის რაოდენობა გადაუხდელ გადასახადთან მიმართებაში. სასამართლომ მიუთითა, ამავე დროს, რომ კანონმდებლობა თავისთავად ჯარიმას განსაზღვრავდა პროპორციულად გარკვეულ ნაწილში გადასახადის გადამხდელის ქმედების სერიოზულობასთან მიმართებაში, რადგან ეს იყო დადგენილი როგორც გადაუხდელი გადასახადის პროცენტი და მომჩივან კომპანიას ქონდა საკმარისი შესაძლებლობა სადავოდ გაეხადა ბაზისი, რომელიც იქნა გამოყენებული მისი დათვლის დროს. მომჩივან კომპანიას, შესაბამისად, შეეძლო წარედგინა ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტები რომელსაც ის მიიჩნევდა რელევანტურად. სასამართლომ დამატებით აღნიშნა რომ მათი სპეციალური ხასიათის გათვალისწინებით, საგადასახადო პროცედურები უნდა ყოფილიყო ეფექტურები რათა დაეცვა სახელმწიფოს ინტერესები და მოცემული პროცედურები არ ქმნიდნენ სისხლის სამართლის ძირითად ნაწილს კონვენციის მიზნებისთვის.

დასკვნა: დარღვევას არ ქონია ადგილი (ერთხმად)

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.

Click here for the [Case-Law Information Notes](#)